



ბანათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი
საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ფარმაციის სამაგისტრო პროგრამა

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღი 31 მაისი - 1 ივნისი

დასკვნის წარდგენის თარიღი
30.06.2021

თბილისი

2021 წ.

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ¹

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიითითებთ	სსიპ „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი“
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	212693049
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ფარმაცია
უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია ²	ფარმაციის მაგისტრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	ფარმაცია 0916
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მიითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	მეშვიდე
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მიითითებთ (ნომერი, თარიღი)	პირობითი აკრედიტაცია, აკრედიტაციის საბჭოს 2020 წლის 4 სექტემბრის N862042 გადაწყვეტილება

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ია ფანცულაია, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო ბარათაშვილი, ფარმაცევტული კომპანია - სს „გეფა“, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია,	მიხეილ ბიჭია, ივ.ჯავახიშვილის

¹ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მიითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

² უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

ქვეყანა)	სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (მოწვეული ლექტორი), გლობალიზაციის ეკონომიკური და სოციალური პრობლემების კვლევითი ინსტიტუტი.
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გიორგი აბულაძე, ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2009 წლიდან მედიცინის ფაკულტეტზე ხორციელდება ფარმაციის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, რომლის მიზანია, მოამზადოს მაღალი კვალიფიკაციის მქონე, კონკურენტუნარიანი ფარმაციის მაგისტრები.

საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობა განისაზღვრება 2 წლით. პროგრამის მოცულობა შეადგენს 120 კრედიტს. კურიკულუმი გადანაწილებულია 4 სემესტრზე. მაქსიმალური კვირეული დატვირთვა არ აღემატება 18 საათს. პროგრამა მოიცავს სასწავლო და კვლევით კომპონენტებს (სავალდებულო სასწავლო კურსები - 85 კრედიტი, არჩევითი სასწავლო კურსები - 5 კრედიტი, სამაგისტრო ნაშრომის დაცვა - 30 კრედიტი). პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს, პროგრამის მიზნებს, სწავლის შედეგებსა და კომპეტენციებს, სწავლება/სწავლის მეთოდებს, სწავლის შედეგების მიღწევის გზებსა და შეფასების წესს, დასაქმების სფეროებს, აუცილებელ რესურსებსა და დამხმარე პირობებს. პროგრამის სტრუქტურა აგებულია ლოგიკურად. პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ კომპონენტში გამოყენებული მეთოდები, კრედიტების მოცულობა, შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები შეესაბამება თითოეული სასწავლო კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს. პროგრამაში შემავალი კომპონენტების თანმიმდევრობა და შემდგომ კომპონენტებზე დაშვების წინაპირობები უზრუნველყოფს სწავლის შედეგების ლოგიკურ ბმას.

2020 წლის სექტემბერში აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების მიხედვით (N862042, 4.09.2020), პროგრამას მიენიჭა პირობითი აკრედიტაცია 1 წლის ვადით. პროგრამით გათვალისწინებულია აკრედიტაციის საბჭოს ექსპერტთა რეკომენდაციათა გარკვეული ნაწილი. ცვლილებები შეეხო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებას, ცოდნის შეფასების სისტემის დახვეწას, არჩევითი საგნების დამატებას, კურიკულუმში სასწავლო პრაქტიკის შეტანას ფარმაცევტული ტექნოლოგიისა და ფარმაცევტული ანალიზის მიმართულებით და სხვ.

პირობითი აკრედიტაციის შემდეგ მიღებული რეკომენდაციები გათვალისწინებულია და განხორციელდა გარკვეული ხასიათის ცვლილებები: კერძოდ, სილაბუსებში გაიწერა სწავლის შედეგების შეფასების სისტემა სტანდარტულად; მოხდა უცხო ენის სწავლების დამატება; კურიკულუმში შეტანილი იქნა სასწავლო პრაქტიკები ფარმაცევტულ ტექნოლოგიასა და ფარმაცევტულ ანალიზში (პრაქტიკული უნარების უკეთ განვითარების

მიზნით); არჩევითი საგნების მოდული გახდა გაცილებით მრავალფეროვანი; სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას ფარმაკოლოგია და კლინიკური ფარმაცია, სავალდებულო გახდა კვლევის შედეგების გამოქვეყნება რეცენზირებად საერთაშორისო ჟურნალებში.

ფარმაციის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობს კვალიფიციური აკადემიური და მოწვეული პერსონალი. ფარმაციის სამაგისტრო პროგრამას ხელმძღვანელობს დარგის კვალიფიციური ხელმძღვანელი, რომელსაც აქვს მრავალწლიანი სამეცნიერო-პედაგოგიური გამოცდილება. პროგრამის განხორციელებაში ჩართულ ლექტორთა კვალიფიკაცია შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს. პროგრამაში ჩართულია - უნივერსიტეტის 10 აკადემიური (აფილირებული), მათ შორის 4 პროფესორი, 5 ასოცირებული პროფესორი და 1 ასისტენტ-პროფესორი. პროგრამის განხორციელებაში ასევე მონაწილეობს 2 მოწვეული პერსონალი.

ამასთან, უნივერსიტეტს გააჩნია სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, თანამედროვე ტექნოლოგიებითა და ინვენტარით აღჭურვილი ბიბლიოთეკა, სადაც განთავსებულია პროგრამაში მითითებული შესაბამისი ლიტერატურა. უნივერსიტეტს აქვს წვდომა პროგრამისთვის აუცილებელ სამეცნიერო ბაზებთან. ასევე, უნივერსიტეტში არის საგამოცდო ცენტრი, საკონფერენციო და სასწავლო აუდიტორიები, კომპიუტერული კლასები ჯგუფური თუ ინდივიდუალური შეხვედრებისთვის და დარგის მიმართულების ლაბორატორიები. იკვეთება, რომ ეფექტიანად მუშაობს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

მთლიანობაში, ფარმაციის საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს ადგილობრივი შრომის ბაზრის, სფეროსა და საზოგადოების განვითარების მოთხოვნებს. პროგრამა შეძლებს დარგის მიმართულებით კვალიფიციური კადრების მომზადებას.

▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

სსიპ „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში“ ფარმაციის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი შედგა 2021 წლის 31 მაისს – 1 ივნისს (ბრძანება N MES 4 21 0000463571, 2021 წლის 19 მაისი). 31 მაისს ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა დაათვალიერეს სასწავლო ბაზები (მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ბიბლიოთეკა, ლაბორატორიები) ადგილზე, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე ესწრებოდა დისტანციურად; ვიზიტის დროს უნივერსიტეტის წარმომადგენელთა მხრიდან იყო უზრუნველყოფილი პროცესში მონაწილე ყველა პირის ჩართულობა, ექსპერტებს მიეცათ შესაძლებლობა, დაეთვალიერებინათ დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკური რესურსები. შეხვედრა შედგა კონსტრუქციულ და სამუშაო გარემოში.

მეორე დღეს 1 ივნისს, ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გათვალისწინებით, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა სრული შემადგენლობით: ია ფანცულაია (თავმჯდომარე); ნინო ბარათაშვილი (წევრი), მიხეილ ბიჭია (წევრი); გიორგი აბულაძე (წევრი) ვიზიტი განაგრძო დისტანციურად. კერძოდ, ინტერვიუ შედგა უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, თვითმეფასების ჯგუფთან, უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებსა და დამსაქმებლებთან. ინტერვიუს ბოლოს ექსპერტთა ჯგუფის

თავმჯდომარემ გააცნო დაწესებულების წარმომადგენლებს ექსპერტთა ჯგუფის წევრებთან შეჯერებული ძირითადი მიგნებები.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

ფარმაციის სამაგისტრო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა შემოწმდა აკრედიტაციის 5 ძირითადი სტანდარტის მიხედვით, რომლებიც შემუშავებულია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ.

სტანდარტი 1: საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - სრულად შესაბამისია

1.2 გასაძლიერებელია პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას კვლევითი ნაწილისა და ავტორისეული ორიგინალური ხედვის წარმოჩენაზე მეტი ყურადღების მიქცევა.

სტანდარტი: 2 სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - სრულად შესაბამისია.

2.3 სასწავლო კურსების სილაბუსებით განსაზღვრული ტექნიკური და გარკვეული შინაარსობრივი ხარვეზების (მაგალითად: საგნების „სამეცნიერო წერის საფუძვლები“ და „აკადემიური სწავლების უნარ-ჩვევები“ სილაბუსის შინაარსიდან რამდენიმე საკითხში გადაკვეთის გასწორება) აღმოფხვრა;

რეკომენდებულია სასწავლო დისციპლინების სილაბუსებში აქტივობების შემცირება, ისე რომ რეალისტური და სემესტრის განმავლობაში მიღწევადი იყოს;

სტანდარტი: 3 სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - მეტწილად შესაბამისია

3.1 – უნივერსიტეტმა ხელი უნდა შეუწყოს სტუდენტების ჩართულობას საერთაშორისო ღონისძიებებსა და გაცვლით პროგრამებში;

3.2 – რეკომენდებულია სამაგისტრო ნაშრომის შესრულების პროცესში მრავალფეროვანი კვლევის მეთოდების გამოყენება და ხელმძღვანელთან მეტი ერთობლივი მუშაობა.

სტანდარტი: 4 სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა – სრულად შესაბამისია:

სტანდარტი: 5 სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები – სრულად შესაბამისია

უნივერსიტეტში მოქმედებს ხარისხის უზრუნველყოფისა და სწავლების შემდგომი განვითარების სისტემა. ყოველსემესტრულად ხდება სტუდენტების, კურსდამთავრებულების, აკადემიური პერსონალისა და დამსაქმებლების გამოკითხვა. ხორციელდება მიღებული შედეგების ანალიზი და გათვალისწინება პროგრამის შემდგომი განვითარების მიზნით.

რეკომენდაციები

1.2 გასაძლიერებელია პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას კვლევითი ნაწილისა და ავტორისეული ორიგინალური ხედვის წარმოჩენაზე მეტი ყურადღების მიქცევა.

2.3 სასწავლო კურსების სილაბუსებით განსაზღვრული ტექნიკური და გარკვეული შინაარსობრივი ხარვეზების (მაგალითად: საგნების „სამეცნიერო წერის საფუძვლები“ და „აკადემიური სწავლების უნარ-ჩვევები“ სილაბუსის შინაარსიდან რამდენიმე საკითხში გადაკვეთის გასწორება) აღმოფხვრა;

რეკომენდებულია სასწავლო დისციპლინების სილაბუსებში აქტივობების შემცირება, ისე რომ რეალისტური და სემესტრის განმავლობაში მიღწევადი იყოს;

სტანდარტი: 3 სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური

3.1 – უნივერსიტეტმა ხელი უნდა შეუწყოს სტუდენტების მეტ ჩართულობას საერთაშორისო ღონისძიებებსა და გაცვლით პროგრამებში;

3.2 – რეკომენდებულია სამაგისტრო ნაშრომის შესრულების პროცესში მრავალფეროვანი კვლევის მეთოდების გამოყენება და ხელმძღვანელთან მეტი ერთობლივი მუშაობა.

▪ რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

✓სწავლის შედეგებში, ბლუმის ტაქსონომიის გათვალისწინებით, სათანადო ზმნებით უნდა გამოიყოს „ცოდნა-გაცნობიერება“, „უნარები“ და „პასუხისმგებლობა-ავტონომიურობა“;

✓არაპირდაპირი შეფასების მეთოდებიდან ამოსაღებია ჩანაწერი „სასწავლო კურსებში მიღებული ქულები“;

✓არჩევითი საგნების რაოდენობის უფრო მეტად გაზრდა;

✓სასურველია რეცენზენტის შერჩევის წესში შევიდეს ტექნიკური ცვლილება ნაცვლად „ხელმძღვანელი ირჩევს“ იყოს „ხელმძღვანელი წარადგენს“.

✓სასურველია ანალიტიკური უნარების განმავითარებელ მეთოდებისა და აქტივობების გამოყენებაზე მეტი ყურადღების გამახვილება.

✓ პროგრამის ინტერნაციონალიზაციაზე მუშაობა გაგრძელდეს უფრო ინტენსიურად.

✓ სასურველია, უნივერსიტეტმა მეტი რესურსი ჩადოს შიდა რესურსისა (მედიცინის ფაკულტეტზე მომიჯნავე სფეროთა წარმომადგენლების) და ლექტორების (მათ შორის უცხოელი ლექტორის) ინტელექტუალური რესურსის გამოყენების მიმართულებით.

✓ კარგი იქნება, გაგრძელდეს აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის შეფასების ფორმებზე, მეთოდებსა და კრიტერიუმებზე ტრენინგები;

✓ პროგრამის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი იქნება, აკადემიური პერსონალი უფრო აქტიურად იყოს ჩართული ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტებში;

✓ სასურველია, გაგრძელდეს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება მეტი თანამედროვე მეთოდების ათვისებისა და გამოყენების მიზნით.

✓ ფარმაციის სამაგისტრო პროგრამის ბიუჯეტის უფრო დეტალურად განსაზღვრა და სხვა ფინანსური წყაროების მოძიება-მოზიდვა;

✓ საზოგადოებასთან, მათ შორის პოტენციურ სტუდენტებთან მეტი კომუნიკაცია პროგრამის მნიშვნელობის შესახებ;

✓ კვლევის ჩატარება ჩარიცხული სტუდენტების კვების მიზეზების დასადგენად და მათი აღმოფხვრის გზების მოძიება.

✓ კარგი იქნება პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის კმაყოფილების ინდექსის კვლევა, ასევე, მათი გამოკითხვების ინტენსივობის გაზრდა.

✓ სასურველია გაფორმდეს მეტი მემორანდუმი რეგიონის მსგავსი პროფილის უნივერსიტეტებთან, მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზების გამოყენების მიზნით.

✓ სასურველია შიდა კვლევების ანალიზი, პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის მიერ გრანტების მოძიებისა და საერთაშორისო პროექტებში მათი ჩართულობის გააქტიურების მექანიზმების მოძიება-შემუშავების მიზნით.

საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)

- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ეფექტიანი მუშაობა;
- დამსაქმებლებთან მჭიდრო ურთიერთობები, შრომის ბაზრის მოთხოვნების შესახებ ინფორმაციის ფლობა და კურსდამთავრებულთა 100%-ით დასაქმება.
- მემორანდუმის ფარგლებში საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალში მაგისტრის მიერ შესრულებული და რეცენზირების შედეგად გამოვლენილი საუკეთესო სამეცნიერო ნაშრომის გამოქვეყნების სრულად დაფინანსება.

ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანწილად განახლებულია მატერიალურ-ტექნიკური ბაზა;
- გამდიდრებულია საბიბლიოთეკო ფონდი, ბიბლიოთეკა კი აღჭურვილია თანამედროვე ტექნოლოგიური საშუალებებით;
- სასწავლო კურსების სილაბუსებში ლიტერატურა განახლებულია;
- გაძლიერებულია დამსაქმებლებთან ურთიერთთანამშრომლობა.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფარმაციის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები ნათლად არის ჩამოყალიბებული, რეალისტური და მიღწევადია. ასევე, პროგრამაში ცხადად არის ასახული, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციის მატარებელი იქნება პროგრამის კურსდამთავრებული. კერძოდ, ფარმაციის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნად განსაზღვრულია: მოამზადოს მაღალკვალიფიციური და კონკურენტუნარიანი ფარმაციის მაგისტრი, რომელსაც ექნება, როგორც ფუნდამენტური ფარმაცევტული დისციპლინების ღრმა და სისტემური ცოდნა, ასევე, ფარმაცევტულ სექტორში პრაქტიკული და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისათვის აუცილებელი უნარები. თუმცა ინტერვიუებისა და სამაგისტრო ნაშრომების საფუძველზე, გამოიკვეთა ამ უნარების გამომუშავება-განვითარებაზე მეტი მუშაობის აუცილებლობა.

პროგრამით განსაზღვრული ინფორმაცია, მათ შორის პროგრამის მიზნები საჯარო და ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისთვის, კერძოდ, განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

უნივერსიტეტის ფარმაციის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისა და კანონმდებლობის ანალიზი ცხადყოფს, რომ პროგრამის მიზნები შემუშავებულია პროგრამის თვითშეფასების ჯგუფის მიერ, ამ მიზნებს იზიარებს პროგრამაში ჩართული და პროგრამის განმახორციელებელი როგორც აკადემიური, ისე მოწვეული პერსონალი.

ჩანს, რომ პროგრამის მიზნები, შეესაბამება როგორც ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-7 დონის საკვალიფიკაციო აღმწერის მოთხოვნებსა და კანონმდებლობას, ისე უნივერსიტეტის მისიას.

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ 2019 წლის 23 დეკემბრის დადგენილებით დამტკიცებულია უნივერსიტეტის საგარეო ურთიერთობათა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის დებულება და სტრუქტურა. ამ დებულებით განსაზღვრულია საგარეო ურთიერთობათა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის მიზანი, უზრუნველყოს საქმიანობის ძირითადი მიმართულებებისა და პრიორიტეტების განხორციელებისას საერთაშორისო ურთიერთობათა და სტრატეგიული განვითარება, დაამყაროს ურთიერთობები სხვა ქვეყნების სასწავლო და სამეცნიერო დაწესებულებებთან, ხელი შეუწყოს უნივერსიტეტის

სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის მობილობას, მართვის ორგანოებისა და საგანმანათლებლო სტრუქტურული ერთეულების საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში საქმიანობის კოორდინაციას.

შესწავლილი მასალიდან ირკვევა, რომ პროგრამის სტრუქტურა, აკადემიური პერსონალი, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და სწავლების თანამედროვე ტექნოლოგიები, ძირითადად, უზრუნველყოფენ პროგრამით გათვალისწინებული ამოცანების გადაჭრას. შესაბამისად, პროგრამით შესაძლებელია კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უნივერსიტეტის მისია: <http://www.atsu.edu.ge/geo/misia.html> ;
- ფარმაციის სამაგისტრო პროგრამა;
- უმაღლესი (აკადემიური) საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების ინსტრუქცია (დანართი 4-EP-QA 1.1.);
- კურიკულუმი;
- ფარმაციის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები;
- აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2019 წლის 23 დეკემბრის N41 დადგენილება „საგარეო ურთიერთობათა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის დებულებისა და სტრუქტურის დამტკიცების შესახებ“;
- უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის დებულება;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი: <https://atsu.edu.ge/> ;
- სამაგისტრო ნაშრომები;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გოთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ფარმაციის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნასა და უნარებს, რომლებსაც სტუდენტი ფლობს პროგრამის დასრულებისას. სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზანს და ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-7 დონის საკვალიფიკაციო აღმწერის მოთხოვნებს.

პროგრამით დადგენილი სწავლის შედეგები შეიცავს ცოდნა-გაცნობიერების, უნარებისა და ავტონომია-პასუხისმგებლობის კომპონენტებს. სახელდობრ, ფარმაციის სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდეგ ფარმაციის მაგისტრს აქვს **ფუნდამენტური ფარმაცევტული დისციპლინების თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლების ღრმა და სისტემური ცოდნა**; ფარმაცევტული საქმიანობის ხარისხის კონტროლის სახელმწიფო სისტემების, ფარმაცევტული დაწესებულებების ფუნქცია-მოვალეობებისა და სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია გაცნობიერებული. ამასთან, პროგრამის კურსდამთავრებულს ექნება სხვადასხვა პრაქტიკული უნარი, კერძოდ, ფარმაციის მაგისტრს შეეძლება: კვალიფიციური ფარმაცევტული დახმარების ორგანიზება და კლინიკურ კონტექსტში მოსახლეობის მხარდაჭერა ძირითადი ვექტორით „პაციენტი ფოკუსში“. ეს გამოიკვეთა ბაზების დათვალიერებისას, მაგისტრებთან უშუალოდ სააფთიაქო ქსელში მუშაობის პროცესში. გარდა ამისა, ფარმაციის მაგისტრს შეეძლება ექიმის მიერ დანიშნული ფარმაკოლოგიური საშუალებების მოქმედების დიაპაზონის განსაზღვრა და მათი გვერდითი ეფექტების პროგნოზირება; გართულებების ნიველირება/თავიდან აცილება; თავსებადობის გათვალისწინება (მედიკამენტების კომბინირებისას) და მეცნიერულად საკუთარი პოზიციის დასაბუთება; განახორციელოს მრავალკომპონენტური სამკურნალო პრეპარატების თვისობრივი და რაოდენობრივი ანალიზი (წამალთა ანალიზის ფიზიკურ-ქიმიური მეთოდების გამოყენებით);

მცენარეული და ცხოველური წარმოშობის ნედლეულის სტანდარტიზაცია და ფარმაკოგნოსტული ანალიზი; „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი ქვეპუნქტის შესაბამისად, ავთიაქში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული შხამების, ნარკოტიკული საშუალებების, ძლიერმოქმედი ნივთიერებებისა და პრეპარატების შექმნა, აღრიცხვა, შენახვა, მომზადება, გაცემა და რეალიზაცია; ფარმაციის სფეროში კვლევის დაგეგმვა, განხორციელება, აკადემიურ დონეზე ანგარიშის წარდგენა როგორც მშობლიურ, ასევე ერთ-ერთ უცხო ენაზე ლაბორატორიული დაკვირვებებისა და გაზომვების შედეგების სწორი ინტერპრეტაციით და სხვა. გარდა ამისა, პროგრამით ფარმაციის მაგისტრს აქვს მაღალი პროფესიული პასუხისმგებლობა, შესწევს უნარი, დამოუკიდებლად შეისწავლოს ფარმაციის სფეროში მიმდინარე პროცესები, გაიღრმავოს ცოდნა და კოლეგა ფარმაცევტების პროფესიულ განვითარებაზე პასუხისმგებლობის აღება.

ამასთან, სწავლის შედეგებში ზემოთ წარმოდგენილი სამი კომპონენტი არასწორი ზმნის ქვეშ არის გაერთიანებული, კერძოდ, დასაწყისში მითითებულია, რომ „ფარმაციის მაგისტრს შეუძლია“, რის შემდეგაც გვხვდება „ცოდნა-გაცნობიერება“, „უნარები“ და „პასუხისმგებლობა-ავტონომიურობა“. ეს ყველაფერი ისე გაიგება, რომ სამივე კომპონენტი „უნარების“ ფარგლებშია გაერთიანებული და პროგრამის შედეგები, თითქოს მხოლოდ „უნარებზე“ გადის, თუმცა იკვეთება, რომ აქ ტექნიკური ხარვეზია დაშვებული.

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შესწავლისას ირკვევა, რომ შეფასება არის დინამიკური პროცესი, რომელიც იძლევა საშუალებას, დადგინდეს სტუდენტების მიერ სწავლისას მიღწეული შედეგები და პროგრამის გასაუმჯობესებლად გასატარებელი ღონისძიებები. პროგრამის სწავლის შედეგები ფასდება, როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი მეთოდების გამოყენებით. სტუდენტის აქტივობების შეფასება ეფუძნება პრაქტიკულ/ლაბორატორიულ მუშაობაზე შესრულებულ დავალებებს, პრეზენტაციის, პროექტის, პრაქტიკის ანგარიშის მომზადება-წარდგენასა და სხვა. სხვადასხვა ტიპის დავალებების შესრულების დროს მიიღწევა სტუდენტის მიერ სასწავლო კურსით განსაზღვრული სწავლის შედეგები.

ამასთან, არაპირდაპირი შეფასების მეთოდებიდან დასახელებულია სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვები, დასაქმების მაჩვენებელი, სასწავლო კურსებში მიღებული ქულები, პროგრამის დასრულების მაჩვენებელი და ა.შ. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებით მიღებული შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად. თუმცა თვითშეფასების ანგარიშში არაპირდაპირი შეფასების მეთოდთაგან ერთ-ერთ მეთოდად მითითებულია სასწავლო კურსებში მიღებული ქულები, რაც ვერ იქნება არაპირდაპირი შეფასების მეთოდი.

სწავლის შედეგები გაზომვადი და მიღწევადია, შეესაბამება დარგის სპეციფიკას, პასუხობს პროფესიით დასაქმების სფეროთა და შრომის ბაზრის მოთხოვნებს.

პროგრამაში ჩართული პირები უზრუნველყოფენ დაინტერესებული პირებისთვის სწავლის შედეგების გაცნობას. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგები ფასდება თანმიმდევრულად და გამჭვირვალედ, დარგის სპეციფიკისთვის დამახასიათებელი პერიოდულობით. პროგრამას გააჩნია სამიზნე ნიშნულები თითოეული სწავლის შედეგისთვის. სწავლის შედეგები ფასდება, წარმოებს მათი მონიტორინგი და სამიზნე ნიშნულებთან დადარებაც ხდება. სწავლის შედეგების შეფასების სისტემა და პერიოდულობა ითვალისწინებს დარგის თავისებურებებს, მოიცავს შეფასების

ადეკვატურ ფორმებს, რომლებიც სტუდენტების მიერ სწავლის შედეგების მიღწევის დადგენის საშუალებას იძლევა. ამასთან, სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა, უკუკავშირის გზით გაარკვიონ, რამდენად მიაღწიეს პროგრამის სწავლის შედეგებს და რა სახის ხარვეზები როგორ უნდა გაასწორონ.

თუმცა იგრძნობა, როგორც სამეცნიერო-კვლევით პროექტებში, ისე გაცვლით პროგრამებში მაგისტრანტების მონაწილეობის ნაკლებობა. მიუხედავად ამისა, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმიდან ჩანს, როგორც საერთაშორისო პროექტებსა და კვლევით აქტივობებში ერთობლივად მონაწილეობის, ისე სფეროში საინტერესო კვლევების გაცვლის მზაობა. იკვეთება, რომ უნივერსიტეტი ამ მიმართულებით მუშაობს.

ამასთან, ჩანს, რომ სამაგისტრო ნაშრომში, გარდა აღწერილობითი ნაწილისა, მეტი აქცენტია გასაკეთებელი პრობლემის პრესკრიფიულ (შეფასებით) ნაწილზე ავტორის ორიგინალური ხედვა წარმოჩენის მიზნით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ფარმაციის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამის სწავლის შედეგები;
- პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა;
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის № 3 ბრძანება;
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 აგვისტოს №102/ნ ბრძანება;
- აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის შორის 2021 წლის 28 მაისს გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი;
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები;
- პროგრამის სწავლის შედეგების შედგენაში ჩართული დაინტერესებული პირების მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი;
- კურსდამთავრებულთა უმაღლესი განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების მაჩვენებელი;
- გამოკითხვის შედეგები;
- სწავლის შედეგების შეფასების ინსტრუმენტები და მასალები (სამაგისტრო ნაშრომები);
- უნივერსიტეტის ვებგვერდი: <https://atsu.edu.ge/>;
- მაგისტრებთან გასაუბრება;
- სააფთიაქო ქსელში სტუმრობა და მაგისტრანტთა მხრიდან მომსახურების გაწევა.

რეკომენდაციები:

- გასაძლიერებელია პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას კვლევითი ნაწილისა და ავტორისეული ორიგინალური ხედვის წარმოჩენაზე მეტი ყურადღების მიქცევა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სწავლის შედეგებში, ბლუმის ტაქსონომიის გათვალისწინებით, სათანადო ზმნებით უნდა გამოიყოს „ცოდნა-გაცნობიერება“, „უნარები“ და „პასუხისმგებლობა-ავტონომიურობა“;
- არაპირდაპირი შეფასების მეთოდებიდან ამოსაღებია ჩანაწერი „სასწავლო კურსებში მიღებული ქულები“.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და	✓			

მათთან პროგრამის შესაბამისობა				
-------------------------------------	--	--	--	--

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭვირვალეა და თანხვედრაშია საქართველოს კანონმდებლობის ყველა მოთხოვნასთან. კერძოდ, აწსუ-ს ფარმაციის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვებულია: ბაკალავრის ან მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე პიროვნება, რომელიც წარმატებით ჩააბარებს საერთო სამაგისტრო გამოცდას და საუნივერსიტეტო კომპლექსურ გამოცდაზე მიიღებს დადებით შეფასებას (51%-ზე მეტი): კომპლექსური გამოცდა მოიცავს ფუნდამენტური ფარმაცევტული დისციპლინების საკვანძო საკითხებს.

ასევე, პროგრამაზე დაიშვება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით: უცხო ქვეყნის მოქალაქეები და მოქალაქეობის არმქონე პირები, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს საბაკალავრო/სამაგისტრო ან ეკვივალენტური განათლება; პირები, რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

გარდა ამისა, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული და დამტკიცებული დადგენილების (№12 (17/18) – „სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, აღდგენის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭებისა და მიღებული განათლების აღიარების წესის შესახებ“ საფუძველზე შესამღებელია შიდა და გარე მობილობის განხორციელება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო პროგრამის „ფარმაცია“ კურიკულუმი;
- აწსუ-ს ვებგვერდი: www.atsu.edu.ge ;
- იხ. ვებინარების, ტრენინგების და საჯარო ლექციების ჩამონათვალი;
- ინტერვიუს შედეგები;
- აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული და დამტკიცებული დადგენილება (№12 (17/18) ;

<ul style="list-style-type: none"> • კანონი „უმადლესი განათლების შესახებ“.
<p>რეკომენდაციები:</p> <p>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
<p>შეფასება</p> <p>X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p>2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი</p> <p>პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით (სსიპ „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში“ მოქმედი „საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა- EP-QA“). პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. კერძოდ: სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „ფარმაცია“ მოიცავს 120 კრედიტს, ხანგრძლივობაა 2 წელი. პროგრამა შედგება სასწავლო და სამეცნიერო კომპონენტებისგან, რომელთაგან სავალდებულო სასწავლო კურსია 85 კრედიტი, არჩევითი - 5 კრედიტი, სამაგისტრო ნაშრომის დაცვა - 30 კრედიტი.</p>

აკრედიტაციის საბჭოს ექსპერტების რეკომენდაციების გათვალისწინებით, სამაგისტრო პროგრამაში შევიდა გარკვეული ცვლილებები:

- გაიზარდა შესვლათა ოდენობა ფუნდამენტურ ფარმაცევტულ დისციპლინებში;
- დაიხვეწა სილაბუსებში ცოდნის შეფასების სისტემა;
- გაძლიერდა დარგობრივი უცხო ენის შესწავლა;
- სტუდენტს (სწავლების მე-3 სემესტრში), შესაძლებლობა ეძლევა (სურვილის შემთხვევაში) სასწავლო კურსი ფარმაცევტული ბიოტექნოლოგია მოისმინოს ქართულ ან ინგლისურ ენაზე;
- კურიკულუმში შეტანილი იქნა სასწავლო პრაქტიკები ფარმაცევტულ ტექნოლოგიასა და ფარმაცევტულ ანალიზში (პრაქტიკული უნარების უკეთ განვითარების მიზნით);
- სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას ქვემომართულებით - ფარმაცოლოგია, კლინიკური ფარმაცია, სავალდებულო გახდა კვლევის შედეგების გამოქვეყნება რეცენზირებად საერთაშორისო ჟურნალში;
- გაფორმდა მემორანდუმი შპს „Legion Provisus“-თან, ხოლო ხელშეკრულება - შპს „N4 აფთიაქთან“ საინტერესო პირობებით.

მაგისტრანტი თემას ირჩევს ძირითადი ფარმაცევტული სამეცნიერო მიმართულებებიდან (ფარმაცოლოგია, კლინიკური ფარმაცია; სოციალური ფარმაცია, ფარმაცოეკონომიკა, ფარმაცევტული ბიზნესის მენეჯმენტი და მარკეტინგი; ფარმაცევტული ტექნოლოგია; ფარმაცოგნოზია; ფარმაცევტული ქიმია, სამკურნალო საშუალებების ხარისხის კონტროლი და სტანდარტიზაცია; ტოქსიკოლოგიური ქიმია, სასამართლო – სამედიცინო ექსპერტიზა, კრიმინალისტიკა) და ხელმძღვანელთან ერთად სახავს კვლევის მიზანსა და ამოცანებს.

როგორც კურიკულუმიდან, ისე თვითშეფასების ანგარიშიდან ჩანს, რომ „სამაგისტრო თემის და ხელმძღვანელის დამტკიცება ხდება მედიცინის ფაკულტეტის საბჭოს მიერ სამეცნიერო კვლევის გეგმის ანალიზის საფუძველზე“. არადა სამაგისტრო თემის ხელმძღვანელი უნდა აკმაყოფილებდეს გარკვეულ კრიტერიუმებს, როგორცაა: იყოს ასოცირებული პროფესორი და სამეცნიერო-მეთოდური მუშაობის გამოცდილება ჰქონდეს.

მაგისტრანტი დიპლომის დაცვაზე დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ წარმატებით აითვისებს კურიკულუმით განსაზღვრული დისციპლინების შესწავლისათვის განკუთვნილ 90 კრედიტს და მედიცინის ფაკულტეტის საბჭოს მიერ დამტკიცებულ დარგობრივ სამაგისტრო კომისიაში (დაცვამდე სულ მცირე ერთი თვით ადრე) განსახილველად წარმოადგენს სამაგისტრო ნაშრომს (რეცენზიასთან ერთად).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- აწესდა აკად. საბჭოს დადგენილებით №49 (17/18) 09.02.2018ხ - ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია;
- საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა - EP-QA;
- ფარმაციის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმი;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
✓ არჩევითი საგნების რაოდენობის უფრო მეტად გაზრდა.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
<ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
<ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება
<p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

2.3. სასწავლო კურსი
<ul style="list-style-type: none"> ➤ ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➤ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>ფარმაციის მაგისტრის მომზადება სტანდარტულად ითვალისწინებს 120 კრედიტის ათვისებას და სამაგისტრო ნაშრომის დაცვას. კურიკულუმი განაწილებული 4 სემესტრზე და კვირაში მაქსიმალური საკონტაქტო საათები არ აღემატება 18 სთ–ს. სამაგისტრო ნაშრომი (30 კრედიტი) წარმოადგენს სტუდენტის მიერ შესრულებულ სამუშაოს. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს, როგორც სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასევე დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე მოწვეული პროფესორიც (ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით), რომელსაც აქვს ბაზისური ფარმაცევტული ან სამედიცინო განათლება</p>

და სამეცნიერო-მეთოდური მუშაობის გამოცდილება, რაც დასტურდება გრიფით და პუბლიკაციებით სამედიცინო ან ფარმაცევტული პროფილის საერთაშორისო რეცენზირებად ჟურნალებში.

როგორც თვითშეფასებიდან და ინტერვიუდან ირკვევა: „რეცენზენტს ირჩევს მაგისტრანტის ხელმძღვანელი. ის შეიძლება იყოს, როგორც უნივერსიტეტის თანამშრომელი, ასევე მოწვეული სპეციალისტიც (დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე).“ ალბათ უკეთესი იქნება, რეცენზენტის შერჩევის წესში ნაცვლად „ხელმძღვანელი ირჩევს“, იყოს „ხელმძღვანელი წარადგენს“.

პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობს 12 აფილირებული პერსონალი, თუმცა სპეციალობის მიმართულებით მხოლოდ 5. კურსების სილაბუსებში დეტალურად არის მითითებული: კრედიტების მოცულობა, დაშვების წინაპირობები, კურსის მიზანი, სასწავლო კურსის ფორმატი, სწავლის შედეგები, კურსის შინაარსი, სასწავლო რესურსები და სხვ. სასწავლო დისციპლინების ფორმატი მეტნაკლებად სტანდარტულია. წარმოდგენილი პროგრამის სილაბუსებზე, ინტერვიუს შედეგებზე და თვითშეფასების კითხვარზე დაყრდნობით ვლინდება გარკვეული ხარვეზები; მაგალითად: სავალდებულო საგნის „სამეცნიერო წერის საფუძვლები“ სილაბუსი და არჩევითი საგნის „აკადემიური სწავლების უნარ-ჩვევები“ შინაარსობრივად გადაიკვეთება რამდენიმე საკითხთან დაკავშირებით.

ასევე, იგრძნობა, რომ რამდენიმე საგნის (მაგალითად, ფარმაცევტული ანალიზისა და ფარმაცევტული ტექნოლოგიის) სილაბუსებით განსაზღვრულია აქტივობის ქულები დაზუსტებას მოითხოვს. დადგენილია, რომ 15 ლაბორატორიული მუშაობა/პრაქტიკული უნარები ფასდება 1 ქულით, 5 წერიტი დავალება - 2 ქულით, 1 პრეზენტაცია კი - 5 ქულით. არადა პირველი სასემინარო კვირა გაცნობითი ხასიათისაა და გამოკითხვა ფიზიკურად არ ტარდება, შუალედური გამოცდის კვირა გამოკითხვას ვერ დაეთმობა, ე.ი. ფიზიკურად 15-16 კვირის ფარგლებში ჩასატარებელი გამოკითხვა არ რჩება და, შესაბამისად, ვერც ჩატარდება.

გარდა ამისა, საგნის „ფარმაკოგნოზია“ აქტივობის დავალებების შეფასების რუბრიკა მოიცავს (ა) ზეპირ გამოკითხვას 5 ლაბორატორიულ მუშაობაზე, თითოეული ფასდება 5 ქულით (5X5=25 ქულა); (ბ) ლაბორატორიულ მუშაობებზე (10 მუშაობა) მცენარეულ ნედლეულზე მიკროსკოპული, მაკროსკოპული ანალიზის ჩატარებას, რომელიც ფასდება 2 ქულით (2X10=20 ქულა); პრეზენტაციის მომზადება-წარდგენას, რომელიც ფასდება 5 ქულით. მათი ჯამი გამოდის 50 ქულა, არადა უნდა იყოს 30 ქულა. ვფიქრობთ, რომ „ა“ პუნქტში ჩანაწერი „სტუდენტი ზეპირ აქტივობას აკეთებს 5 ლაბორატორიულ მუშაობაზე და თითოეული ფასდება 5 ქულით“ საჭიროებს ცვლილებას.

ამასთან, ზოგიერთი სასწავლო დისციპლინაში (დარგობრივი გერმანული, რუსული, ინგლისური) არაა შეფასების კრიტერიუმები განსაზღვრული, კერძოდ, მართალია, მითითებულია შუალედური შეფასების 30 ქულა როგორ ნაწილდება სამ კომპონენტზე, მაგრამ არაა გათვალისწინებული, თუ რას უნდა აკმაყოფილებდეს პასუხი თითოეულ კომპონენტში მაქსიმუმ 10 ქულის მისაღებად, რაში იწერება საშუალო ქულა და ა.შ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ფარმაციის სამაგისტრო პროგრამა;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;

- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- ინტერვიუ პროგრამის სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებთან.

რეკომენდაციები:

- სასწავლო კურსების სილაბუსებით განსაზღვრული ტექნიკური და გარკვეული შინაარსობრივი ხარვეზების (მაგალითად: საგნების „სამეცნიერო წერის საფუძვლები“ და „აკადემიური სწავლების უნარ-ჩვევები“ სილაბუსის შინაარსიდან რამდენიმე საკითხში გადაკვეთის გასწორება) აღმოფხვრა;
- რეკომენდებულია სასწავლო დისციპლინების სილაბუსებში აქტივობების შემცირება, ისე რომ რეალისტური და სემესტრის განმავლობაში მიღწევადი იყოს;

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია რეცენზენტის შერჩევის წესში შევიდეს ტექნიკური ცვლილება ნაცვლად „ხელმძღვანელი ირჩევს“ იყოს „ხელმძღვანელი წარადგენს“.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამაგისტრო ნაშრომი (30 კრედიტი) წარმოადგენს სტუდენტის მიერ ინდივიდუალურად შესრულებულ სამუშაოს, რომლის განხორციელება ეფუძნება სწავლის პერიოდში შეძენილი პრაქტიკული და თეორიული ცოდნის ერთობლივ გამოყენებას. კერძოდ, ფარმაცევტული მეცნიერებების სხვადასხვა დისციპლინების ღრმა, კომპლექსური ცოდნა საშუალებას აძლევს სტუდენტს სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას გამოავლინოს დარგობრივი ცოდნის, პრაქტიკული და შემოქმედებითი უნარები. ასევე კურიკულუმით განსაზღვრული „სამეცნიერო წერის საფუძვლები“-ს ათვისება ხელს უწყობს მომავალ მკვლევარში აკადემიური წერის კულტურის გამომუშავებას.

პროგრამაში ჩართული ყველა სტუდენტი ბაკალავრობის პერიოდიდან უკვე დასაქმებულია შესაბამის სფეროში, თუმცა სტუდენტთა დასაქმების არეალი დღეისათვის მხოლოდ ერთი მიმართულებით არის წარმოდგენილი: საცალო სააფთიაქო ბაზა, (ფარმაცევტი, მენეჯერი).

ფაკულტეტზე არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და გაფორმებული მემორანდუმები და ხელშეკრულებები საშუალებას აძლევს სტუდენტებს განახორციელონ საინტერესო კვლევითი პროექტები და მიღებული შედეგები წარმატებით წარმოაჩინონ სტუდენტურ სამეცნიერო კონფერენციებზე და რეცენზირებად ჟურნალებშიც კი. თუმცა, მომავალში საჭიროა ამ მიმართულებით მუშაობის გაგრძელება.

მიუხედავად არსებული საშუალებებისა, სტუდენტების მონაწილეობა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მაღალი არ არის, რაც შესაძლებელია განპირობებული იყოს სხვადასხვა მიზეზებით, მათ შორის პროგრამის ინტერნაციონალიზაციის დაბალი დონით, მაგისტრანტის სამსახურებრივი დატვირთვით.

ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სტუდენტები უფრო მეტ სასწავლო პრაქტიკას გადიან როგორც ლაბორატორიებში, ასევე საწარმოსა და სხვა სამეცნიერო კვლევით დაწესებულებებში. პროგრამაში შეტანილია ცვლილება, რომლის მიხედვითაც 2 მიმართულებაში სამაგისტრო ნაშრომის დაცვამდე სავალდებულოა სტატიის გამოქვეყნება იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალში, რაც მომავალში ხელს შეუწყობს სტუდენტის ინტერესების გაზრდას და მათ ჩართულობას სამეცნიერო კონფერენციებში, როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო დონეზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ფარმაციის სამაგისტრო პროგრამა;
- გამოკითხვის შედეგები;
- ინტერვიუს შედეგები;
- მემორანდუმები/ხელშეკრულებები;
- სტუდენტური კონფერენციები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, პროგრამის ინტერნაციონალიზაციაზე მუშაობა გაგრძელდეს.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

<ul style="list-style-type: none"> ○ სამაგისტრო ნაშრომის დაცვამდე სტატიის გამოქვეყნების ვალდებულება იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალში.
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
<p>შეფასება</p> <p>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p style="padding-left: 20px;">x შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p style="padding-left: 20px;"><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p style="padding-left: 20px;"><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p style="padding-left: 20px;"><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p>2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები</p>
<p>პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>ფარმაციის სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებულია საგანმანათლებლო სივრცეში აპრობირებული სწავლების შემდეგი მეთოდები:</p> <ul style="list-style-type: none"> • ინტერაქტიული ლექციები (ვიზუალური მასალის გამოყენებით); • კვლევითი სემინარები; • დისკუსია/დებატები; • პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL); • ჯგუფური მუშაობა და პროცესის ანალიზი; • პრეზენტაცია/პოსტერი; • გონებრივი იერიში (Brain Storming); • ლაბორატორიული/პრაქტიკული მეცადინეობები; • ინდივიდუალური კონსულტაციები და ა.შ. <p>თუმცა დასაზუსტებელია, რა იგულისხმება ინდივიდუალურ კონსულტაციებში და რატომ არის ის გათვალისწინებული სწავლების მეთოდად. ასევე, აკადემიური პერსონალთან და სტუდენტებთან შეხვედრისას გამოიკვეთა, რომ პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება ჯერ არ განხორციელებულა და მხოლოდ მომზადების საფეხურზეა.</p> <p>სასწავლო კურსის ხელმძღვანელი აკადემიური თავისუფლების ფარგლებში აქცენტს</p>

აკეთებს სწავლების იმ მეთოდებზე, რომლებიც, კურსის შინაარსიდან გამომდინარე, უზრუნველყოფენ სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. სწავლების მეთოდის ეფექტურობაზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული რთული სალექციო მასალის სრულფასოვნად აღქმა და ინტენსიურ ინფორმაციულ ნაკადში პრიორიტეტების განსაზღვრა.

სწავლების მეთოდების შერჩევასა და გათვალისწინებული სასწავლო კურსის სპეციფიკა, მიზნები და სავარაუდო შედეგები, ანუ რა უნდა იცოდეს, რა დონეზე და რისი შესრულება უნდა შეძლოს მაგისტრანტმა. პროგრამასა და სასწავლო კურსების სილაბუსებში ასახული სწავლება-სწავლის მეთოდები აგებულია სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებზე, აუცილებლობისას გამოიყენება სტუდენტის აკადემიური მომზადების დონის შესაბამისად შედგენილი ინდივიდუალური პროგრამა. სასწავლო კურსების სილაბუსებით განსაზღვრული სწავლება-სწავლის მეთოდები ერთობლიობაში შეესაბამება უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურს, სწავლის შედეგებს და, ამავე დროს, უზრუნველყოფს მათ მიღწევას. თუმცა ინტერვიუდან ჩანს, რომ სასწავლო პროცესში ანალიტიკური უნარების განმავითარებელ მეთოდებსა და აქტივობებს ნაკლები ყურადღება ეთმობა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ფარმაციის საგანმანათლებლო სამაგისტრო პროგრამა;
- სწავლება-სწავლის მეთოდები;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები;
- გამოკითხვის შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- სასურველია ანალიტიკური უნარების განმავითარებელ მეთოდებისა და აქტივობების გამოყენებაზე მეტი ყურადღების გამახვილება.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტთა აკადემიური მოსწრების შეფასება ხორციელდება თანამედროვე ინდიკატორების გამოყენებით კანონით დადგენილი წესების დაცვით.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №785 (05.01.2007), №3 (21.09.2009) და 2016 წლის 18 აგვისტოს №102/ნ ბრძანებებით, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებებით (№12; 30.10.2009; დადგენილება №35; 10.11.2010, № 1, 17/18 15.09. 2017)) განსაზღვრული პრინციპებით. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კომპონენტში სტუდენტის მიერ კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება საკრედიტო სისტემით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით. სტუდენტის მიერ გაწეული შრომის შეფასება ითვალისწინებს:

ა) შუალედურ შეფასებებს, რაც, თავის მხრივ, მოიცავს ლექცია-პრაქტიკულებზე სტუდენტის დასწრებისა და ყოველდღიური აკადემიური აქტიურობის კომპონენტს (გამოკითხვა, დისკუსია, ტესტირება, პრეზენტაცია, ესსე), ტუტორიალზე გამოჩენილ აქტიურობას, პრაქტიკული უნარების შეფასებას და მიმდინარე შუალედურ შეფასებას. შუალედური შეფასება შეიძლება ითვალისწინებდეს სხვა კომპონენტებსაც;

ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას. შეფასებების მიღება ხდება შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასების დაჯამების საფუძველზე. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომლის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი (შუალედური შეფასებების კომპონენტებში) ჯამურად შეადგენს არანაკლებ 18 ქულას და თანაც, მას არ აქვს გაცდენილი საკონტაქტო საათების რაოდენობის 50%-ზე მეტი. სასწავლო კურსის/მოდულის/საგნობრივი ბლოკის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია, საიდანაც დასკვნითი გამოცდის მაქსიმალურ შეფასებას ეთმობა 40 ქულა. შეფასების მეთოდებიდან, ძირითადად, გამოიყენება: ტესტური, ზეპირი ან კომბინირებული შემაჯამებელი გამოცდა, OSCE ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა.

შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ა.ა) (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;

ა.გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;

ა.ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი თავიდან აქვს შესასწავლი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- გამოკითხვის შედეგები;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი: <https://atsu.edu.ge/> ;
- ინტერვიუს შედეგები;
- უმაღლესი (აკადემიური) საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების ინსტრუქცია (დანართი 4-EP-QA 1.1.);
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვარის №785 ბრძანება;
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 21 სექტემბრის №3 ბრძანება;
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 აგვისტოს №102/ნ ბრძანება;
- აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებები (№12; 30.10.2009; დადგენილება №35; 10.11.2010, №1, 17/18 15.09. 2017).

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ო გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	X			

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

დისტანციური ვიზიტის ფარგლებში ინტერვიუებისას, სტუდენტები ადასტურებენ სრულფასოვანი საკონსულტაციო საათების მიღებას. დროსა და სხვა ტექნიკურ საკითხზე შეთანხმებას ახდენენ ელ.ფოსტის საშუალებით. ფარმაცის სამაგისტრო პროგრამაზე ჩაბარებისას სტუდენტები იღებენ სრულ ინფორმაციას სწავლების დაგეგმარების საკითხებთან დაკავშირებით.

უნივერსიტეტი იყენებს ვებ-პორტალს, რომელზეც მუდმივად იდება განახლებული

ინფორმაცია სწავლებასთან, მოსალოდნელ კონფერენციებსა და კონკურსებთან დაკავშირებით. ვებ-გვერდზე მარტივად შესაძლებელია სტუდენტისთვის ინფორმაციის მიღება სწავლის მიმდინარე პროცესისა და ცხრილის შესახებ. უნივერსიტეტი იყენებს „ATSU news“ აპლიკაციას, რომელიც აადვილებს განახლებული ინფორმაციის მიღებას უნივერსიტეტში მიმდინარე ღონისძიებებზე.

უნივერსიტეტში მატერიალურ-ტექნიკური ბაზების დათვალისწინებისას მოვინახულებთ სტუდენტებისთვის განკუთვნილი თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სივრცეები, რომელიც აღჭურვილია ლეპტოპებითა და სხვა დამხმარე ხელსაწყოებით. ბიბლიოთეკაში გათვალისწინებულია შშმ პირებიც და წარმოდგენილია შესაბამისი გადაადგილების მექანიზმი. შენობა ადაპტირებულია შშმ პირებისთვის, ბიბლიოთეკაში დამონტაჟებულია შესაბამისი გადაადგილების მექანიზმი. გარდა ამისა, უნივერსიტეტს აქვს სოციალურად დაუცველი და შშმ სტუდენტებისთვის დაწესებული შეღავათები. სტუდენტებისთვის განკუთვნილი ლაბორატორიები აღჭურვილია ხელსაწყოებით, თუმცა მომავალში არსებული ბაზის თანამედროვე დონის აპარატურით განახლება სასურველია.

აწუს-ს მიერ მოწოდებული მასალების შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე შესაძლოა ითქვას, რომ უნივერსიტეტში ინტერნაციონალიზაციის ხარისხი მოითხოვს გაუმჯობესებას, რაც თანამედროვე სამყაროში ასეთი პრიორიტეტულია. სტუდენტები და კურსდამთავრებულები ვერ ასახელებენ მიზეზს, თუ რატომაა დაბალი საერთაშორისო აქტივობა. ნაწილი ფიქრობს, რომ ძირითადი მიზეზი პირადი პრობლემებია. მთავარია რომ უნივერსიტეტმა მიაწოდოს სტუდენტებს ინფორმაცია, თუ როდენ მნიშვნელოვანია მომავალი კარიერული ზრდისთვის მსგავსი აქტივობები.

უნივერსიტეტის ხარისხის სამსახური სემესტრის ბოლოს ატარებს სტუდენტურ გამოკითხვებს, რომლის შედეგებსაც განიხილავს შესაბამის უწყებებთან, რათა მოხდეს მომავალში მათი გათვალისწინება. უნივერსიტეტში შემუშავებულია წესი, რომლის მიხედვით სტუდენტს შეუძლია გაასაჩივროს სასწავლო პროცესში არსებული ნებისმიერი პრობლემა (მაგალითად: ლექტორთან დაკავშირებული თუ მიღებული შეფასებით ულმაცოფილება): კერძოდ: სტუდენტის უფლება აქვს, დაწეროს ანონიმური წერილი დეკანატის სახელზე ლექტორის მხრიდან სილაბუსის უხეშ დარღვევაზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამაში ჩართული აკადემიური/მოწვეული/ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის, პროგრამის სპეციალისტი) პირთა ფუნქციები და მოვალეობები, მათი სამუშაოს აღწერილობის მარეგულირებელი აქტი;
- დადგენილება N12(17/18) 10.11.2017-სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, აღდგენის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭებისა და მიღებული განათლების აღიარების წესის, საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის/გაუქმების შემთხვევაში, შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლების უზრუნველყოფის მექანიზმის შესახებ;
- დადგენილება N29 (17/18 05.12.2017)-აწუს აკადემიური პერსონალის, ემერიტუსის, მასწავლებლის, ხელშეკრულებით და საათობრივად მოწვეული სპეციალისტების სასწავლო და სამეცნიერო-მეთოდური დატვირთვების ნორმატივების განსაზღვრის, დამტკიცებისა და შესრულების შემოწმების წესის დამტკიცების შესახებ.
- სტუდენტთა მხარდაჭერისა და განვითარების სამსახური <https://atsu.edu.ge/index.php/students-service-info>

<ul style="list-style-type: none"> • სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგები; • უნივერსიტეტის ვებგვერდი; • უნივერსიტეტის მიერ მოწოდებული ადგილობრივი სტუდენტური აქტივობების დოკუმენტი.
<p>რეკომენდაციები:</p> <p>✓ უნივერსიტეტმა ხელი უნდა შეუწყოს სტუდენტების მეტ ჩართულობას საერთაშორისო ღონისძიებებსა და გაცვლით პროგრამებში;</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>✓ სასურველია, პროგრამის ინტერნაციონალიზაციაზე მუშაობა გაგრძელდეს უფრო ინტენსიურად.</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
<p>შეფასება</p> <p>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფარმაციის პროგრამის მაგისტრანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელები, რომელიც შეიძლება იყოს პროფესორი/ასოცირებული პროფესორი ბაზისური ფარმაცევტული განათლებით.

ნაშრომის ხელმძღვანელთა შერჩევისას პრიორიტეტულია მათი სამეცნიერო-მეთოდოლოგიური გამოცდილება.

ინტერვიურების პროცესში მაგისტრანტებმა ისაუბრეს ძირითად სამუშაო თემატიკაზე. ძირითადი განხილვის თემა სამაგისტრო ნაშრომის თემის გარშემო არსებული სტატიების გაურკვეველი ნაწილის განხილვა სტუდენტებთან. ხელმძღვანელი არ ერევა მაგისტრანტის პროეგატივებში, თემიდან აცდენის შემთხვევის გარდა. მაგისტრანტების თქმით, წინასწარ გათვალისწინებული შეხვედრების გარდა, საჭიროების შემთხვევაში აქვთ დამატებითი შეხვედრებიც.

ვიზიტის მიმდინარეობისას, ინტერვიურების პირობებში, მაგისტრანტებს გაუჭირდათ დაესახელებინათ კვლევის მეთოდები, რომლებსაც იყენებენ. ერთეულ შემთხვევებში იქნა მოყვანილი მაგალითი, თუმცა მხოლოდ ერთი ტიპის კვლევის მეთოდის/საკვლევი ობიექტის შესახებ. ასევე უნდა ითქვას, რომ სტუდენტები იმედოვნებენ კვლევის გაღრმავებას დარჩენილი დროის მანძილზე.

აწუს-ს ფარმაციის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულებმა გაიხსენეს სამაგისტრო ნაშრომის თემატიკა, თუმცა გაუჭირდათ ძირითადი მიგნებისა და საკვლევი მეთოდების დასახელება.

მაგისტრანტებისა და კურსდამთავრებულების თქმით, პროგრამის ხელმძღვანელთან არ შექმნიათ რაიმე პრობლემა სწავლის მანძილზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუს ანალიზი;
- სტუდენტებთან ინტერვიუს ანალიზი;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- აკადემიური პერსონალის CV;
- უნივერსიტეტის სამაგისტრო ნაშრომის დებულება;

რეკომენდაციები:

რეკომენდებულია სამაგისტრო ნაშრომის შესრულების პროცესში მრავალფეროვანი კვლევის მეთოდების გამოყენება და ხელმძღვანელთან მეტი ერთობლივი მუშაობა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ო გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა		X		

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამაგისტრო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია კვალიფიციური აკადემიური და მოწვეული პერსონალი. კერძოდ, „პროგრამის განსახორციელებლად საჭირო აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა განისაზღვრა უნივერსიტეტის წარმომადგებლობითი საბჭოს №173 (28.02.2018) დადგენილებით „აწსუ-ში პროგრამების მიხედვით აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის შესახებ“, რომელიც ითვალისწინებს შემდეგ კომპონენტებს: ჯგუფში სტუდენტთა რაოდენობა, აკადემიური ჯგუფის საშუალო კვირეული დატვირთვა, პროფესორის საშუალო კვირეული დატვირთვა”.

პროგრამის ხელმძღვანელს აქვს 20-წლიანი სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობის გამოცდილება და მრავალი წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს. პროგრამის ხელმძღვანელი უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში და გააჩნია შესაბამისი ცოდნა და გამოცდილება, კარგად იცნობს პროგრამის ყველა კომპონენტს და იღებს მონაწილეობას ყველა ცვლილება/რედაქტირებაში.

პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ მეტწილად უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

თუმცა ჩანს, რომ გამოსაყენებელია, როგორც შიდა რესურსი (მედიცინის ფაკულტეტზე მომიჯნავე სფეროთა წარმომადგენელთა), ისე უცხოელი ლექტორის ინტელექტუალური რესურსი, რაც უდავოდ კიდევ უფრო გააძლიერებდა პროგრამას. ამასთან, უნივერსიტეტის მხრიდან წარმოდგენილია 2020 წელს შპს „Legion Provisus“-თან გაფორმებული მემორანდუმი, რომლის სათანადოდ ამოქმედებისას შესაძლოა ამ მიმართულებით მუშაობის გაძლიერება. მემორანდუმიდან ჩანს, რომ შპს იღებს მოვალეობას, თვითონვე გაუწიოს კოორდინაცია დარგის წამყვანი უცხოელი სპეციალისტების მიერ საჯარო ლექციების ჩატარებას, დისტანციური კონფერენციების, ვებინარების ორგანიზებასა და აღნიშნულ პროცესებში ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტების ჩართვას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თანამდებობრივი ინსტრუქციები;
- საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
- პერსონალის პირადი საქმეები;
- პროგრამის ხელმძღვანელის ხელშეკრულება და პირადი საქმე;
- ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის პირადი საქმეები.
- სამაგისტრო პროგრამა;
- ინტერვიუს შედეგები;
- მემორანდუმები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- ✓ სასურველია, უნივერსიტეტმა მეტი რესურსი ჩადოს შიდა რესურსისა (მედიცინის

ფაკულტეტზე მომიჯნავე სფეროთა წარმომადგენლების) და ლექტორების (მათ შორის უცხოელი ლექტორის) ინტელექტუალური რესურსის გამოყენები მიმართულებით.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

აწსუ რეგულარულად აწარმოებს და აქტიურად იყენებს პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის შეფასებისა და კმაყოფილების კვლევის შედეგებს და აანალიზებს ამ მონაცემებს; აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებისათვის გამოიყენება სასწავლო წლის პერიოდში სასწავლო, სამეცნიერო, ორგანიზაციული და პროგრამასთან დაკავშირებული სხვა აქტივობების შეფასება.

აკადემიური პერსონალის სასწავლო-მეთოდური მუშაობის შემოწმების პროცესში სასწავლო პროცესის მართვის სამსახურთან ერთად ჩართულნი არიან ფაკულტეტის დეკანი, დეპარტამენტის ხელმძღვანელი, რექტორის მოადგილე. შეფასების შედეგები გამოიყენება აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული

<p>განვითარებისთვის, პერსონალის დაწინაურებისა და წახალისებისათვის. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ ამ პროცესებში ასევე ჩართულნი არიან პროგრამის სტუდენტები.</p> <p>აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის მიერ სასწავლო წლის განმავლობაში დაგეგმილი და განხორციელებლი აქტივობების შესრულების შედეგებს, ხარისხის სამსახურისა და ფაკულტეტის დეკანის მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე აფასებს სასწავლო პროცესის მართვის სამსახური.</p> <p>აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის განვითარების მიზნით ხორციელდება სხვადასხვა ღონისძიებები: პერსონალის პროფესიული განვითარებისათვის აწესებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური გეგმავს ტრენინგებს და სამუშაო შეხვედრებს, აგზავნის აკადემიურ პერსონალს სამეცნიერო კონფერენციებზე, უზრუნველყოფს მათთვის უცხო ენის შემსწავლელი კურსების სერვისს.</p> <p>პროგრამის ხელმძღვანელი და აკადემიური პერსონალი ჩართულია სახვადასხვა საერთაშორისო პროექტებსა და ფორუმებში. მონაწილეობენ უცხოენოვან ვებინარებში, განსაკუთრებით კოვიდ პანდემიის პერიოდში.</p> <p>აკადემიური პერსონალის უწყვეტად განვითარების პროცესი მხარდაჭერილია უნივერსიტეტის მმართველი ადმინისტრაციული რგოლის მიერ.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> ○ აკადემიური პერსონალის CV-ები; ○ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი; ○ ინტერვიუს შედეგები; ○ სასწავლო კურსების სილაბუსები; ○ უნივერსიტეტის ვებგვერდი: https://atsu.edu.ge/ ; ○ აწესებს აკადემიური საბჭოს დადგენილება N65 (18/19) 10.07.2019; ○ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების პროცედურა EP-QA 1.2.
<p>რეკომენდაციები:</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <ul style="list-style-type: none"> ▪ პროგრამის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი იქნება, აკადემიური პერსონალი უფრო აქტიურად იყოს ჩართული ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტებში; ▪ კარგი იქნება, გაგრძელდეს აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის შეფასების ფორმებზე, მეთოდებსა და კრიტერიუმებზე ტრენინგები.
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ო გოთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

დადგინდა, რომ 2018-2020 წლებში გაუმჯობესდა ფაკულტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მნიშვნელოვანი ნაწილი ფარმაციის მიმართულებით. განახლდა და სასწავლო პროცესის განკარგულებაში გადავიდა თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი ფარმ. ქიმიისა და ფარმ. ტექნოლოგიის ლაბორატორიები და სალექციო აუდიტორიები. მიმდინარეობს ფარმაცოგნოზისა და ტოქსიკოლოგიის სასწავლო ლაბორატორიების აღჭურვა. ძირითადი კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე დაწყებულია მინი ბოტანიკური ბაღის გაშენება და სამკურნალო მცენარეების ინტროდუქცია.

ამასთან, მნიშვნელოვნად შეივსო საბიბლიოთეკო ფონდი თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურით, სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია როგორც სახელმძღვანელოების, ასევე მაღალი იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალების ელექტრონული ვერსიებიც.

ამასთან, 2021 წელს გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, შპს „N4 აფთიაქი“ საშუალებას აძლევს, სტუდენტებს განახორციელონ როგორც მყარი და რბილი წამლის ფორმების, ისე ასეპტიკურ პირობებში სტერილური, საინექციო (საინფუზიო) ხსნარების დამზადება (შესაბამისი გამოთვლების და ტექნოლოგიური სტადიების თანმიმდევრობის დაცვით) და მომზადებული წამლის ფორმების კეთილხარისხოვნების შემოწმება (შიგა სააფთიაქო კონტროლი). ამ დაწესებულებაში სასწავლო პრაქტიკის გავლისას სტუდენტები სრულად გაათვითცნობიერენ „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი ქვეპუნქტის შესაბამისად, აფთიაქში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული შხამების, ნარკოტიკული საშუალებების, ძლიერმოქმედი ნივთიერებებისა და პრეპარატების შემენის, აღრიცხვის, შენახვის, მომზადების, გაცემის და რეალიზაციის სპეციფიკას. შპს „N4 აფთიაქი“ (იმერეთის რეგიონში) ახორციელებს დიაბეტიტ დაავადებული პაციენტების მომარაგებას ინსულინით. სტუდენტები დეტალურად გაეცნობიან სახელმწიფოს მხრიდან

მოსახლეობის სასიცოცხლო მნიშვნელობის მედიკამენტებით უზრუნველყოფის მექანიზმებსაც.

მართალია, ექსპერტთა აზრით, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებაზე ფიქრი წაადგება პროგრამას, მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელისადმი მედიცინის ფაკულტეტის დეკანის მიერ გაგზავნილი სამსახურებრივი ბარათიდან იგრძნობა, ერთი მხრივ, ტრენინგ-ცენტრის მოწყობის, მეორე მხრივ კი, სხვადასხვა აპარატურის შეძენის მზაობა. ამასთან, უნივერსიტეტსა და შპს „N4 აფთიაქს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულებიდანაც ირკვევა, რომ მხარეების შეთანხმების საგანია მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტთათვის სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართის გამოყოფა სალექციო და პრაქტიკული მეცადინეობების ჩატარების მიზნით ფარმაცევტულ ტექნოლოგიასა და მომზადებული წამლების ფორმების კეთილხარისხოვნების შემოწმების მიმართულებით. ეს ადასტურებს, რომ უნივერსიტეტი ნელ-ნელა დგამს ნაბიჯებს პროგრამის მატერიალური რესურსისა და პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერების მიმართულებით (იხ. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და შპს „N4 აფთიაქს“ შორის დადებული ხელშეკრულება N4, 2021 წ. 18 იანვარი).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა;
- უნივერსიტეტის სტრუქტურა;
- მემორანდუმები/ხელშეკრულებები;
- სამეცნიერო ბაზები;
- მატერიალურ-ტექნიკური რესურსები;
- უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელისადმი მიწერილი მედიცინის ფაკულტეტის დეკანის სამსახურებრივი ბარათი (31.05.2021, MES 7 21 0000505838);
- ელექტრონულ საბიბლიოთეკო ბაზებზე წვდომა;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი: <https://atsu.edu.ge/> ;
- სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, გაგრძელდეს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება მეტი თანამედროვე მეთოდების ათვისებისა და გამოყენების მიზნით.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე მიწნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ფარმაციის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტი მოიცავს აკადემიური, ადმინისტრაციული, მოწვეული და დამხმარე პერსონალის ხელფასებს, ინფრასტრუქტურის განახლების ხარჯებს, სტიპენდიას, კომუნალური, საგადასახადო ვალდებულებების, რისკების დაზღვევის და სხვა ტიპის ხარჯებს.

თუმცა ბიუჯეტში სრულად არ არის გაწერილი ხარჯების დაწვრილებითი აღწერა, ასევე, არ ჩანს მოქმედების მექანიზმი დეფიციტური ბიუჯეტის არსებობის შემთხვევაში.

აღსანიშნავია, რომ პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების რიცხვი ბოლო 3 წლის განმავლობაში იკლებს, რაც ქმნის მოლოდინს, რომ ბიუჯეტი შეიძლება გახდეს დეფიციტური.

ინტერვიუს პროცესში უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ და პროგრამის ხელმძღვანელმა ცალსახად დაადასტურეს პროგრამის მნიშვნელობა რეგიონისათვის და გამოთქვეს სრული მზაობა მისი ფინანსური მხარდაჭერის გასაძლიერებლად. დაწესებულებისთვის პროგრამის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები;
- აწსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 28 თებერვლის N175 დადგენილება;
- ფარმაციის სამაგისტრო პროგრამის ბიუჯეტი.

რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის <ul style="list-style-type: none"> ▪ ფარმაციის სამაგისტრო პროგრამის ბიუჯეტის უფრო დეტალურად განსაზღვრა და სხვა ფინანსური წყაროების მოძიება-მოზიდვა; ▪ საზოგადოებასთან, მათ შორის პოტენციურ სტუდენტებთან მეტი კომუნიკაცია პროგრამის მნიშვნელობის შესახებ;
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება <p>ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <ul style="list-style-type: none"> <input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და ანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სსიპ „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა წარმოადგენს სასწავლო, კვლევითი და შემოქმედებითი საქმიანობის შიდა შეფასების სისტემას, რომელიც ხელმძღვანელობს კანონმდებლობით და ეხმარება უნივერსიტეტს სტრატეგიული მიზნებისა და მისიის განხორციელებაში. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა უნივერსიტეტის განვითარებისთვის საჭირო დაგეგმვის, მართვისა და მონიტორინგის განუყოფელი ნაწილია, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია სასწავლო და კვლევითი საქმიანობის შეფასება, შეფასების შედეგების ანალიზი და ამ შედეგების გამოყენება სწავლა/სწავლების პროცესის შემდგომი განვითარებისათვის.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური თავის საქმიანობას ახორციელებს ციკლური პროცესის სახით, რომელიც მოიცავს ოთხ ძირითად ურთიერთდაკავშირებულ ელემენტს: დაგეგმვა, განხორციელება, შეფასება და გაუმჯობესება.

ხარისხის უზრუნველყოფისა და გაუმჯობესების პროცედურები მოიცავს რამდენიმე საფეხურს და უკავშირდება პროგრამის კომპონენტების სილაბუსების, აკადემიური პერსონალის, კურიკულუმისა და ა.შ. მონიტორინგის პროცესს. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ეფუძნება შემდეგი ამოცანების შესრულებას: სწავლებისა და სწავლის ხარისხის გაუმჯობესება, შიდა ხარისხის კულტურის განვითარება, ბიუროკრატიისა და ზედმეტი რეგულირების თავიდან აცილება და ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის სამსახურის შეფასებების/რეკომენდაციების გათვალისწინება.

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს სწავლის და სწავლების ხარისხის უზრუნველყოფისა და გაუმჯობესების შიდა შეფასების სისტემა, რომლის თანახმადაც, განხორციელდა წარმოდგენილი პროგრამის შიდა ექსპერტიზა. პროგრამის სრულყოფის მიზნით როგორც პროგრამის ხელმძღვანელებს, ისე აკადემიურ პერსონალს გაეწია კონსულტაციები და გაიცა კონკრეტული რეკომენდაციები.

პროგრამის განვითარება მიმდინარეობს შიდა და გარე შეფასების პროცედურების ინტეგრირების გზით, რათა გაუმჯობესდეს და მიღწევადი იყოს დაგეგმილი სწავლის შედეგები პრინციპით: სწავლებისა და კვლევის თავისუფლება არის ძირითადი აკადემიური ღირებულება, პიროვნული, სამოქალაქო და სოციალური განვითარების ინტერესების გათვალისწინებით; მთელი სიცოცხლის მანძილზე განათლების მიღების შესაძლებლობით, კონკურენტუნარიანობის მიღწევითა და დასაქმების პერსპექტივით.

შემუშავდა და დამტკიცდა დოკუმენტი „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის

ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია“. მისი შემადგენელი ნაწილია „საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა“, რომელიც მოიცავს ხარისხის მართვის სისტემასა და მის ორგანიზებას, შესაბამის პროცედურებს, სასწავლო და კვლევით პროცესში უნივერსიტეტის ადამიანური და მატერიალური რესურსების ეფექტური გამოყენების უზრუნველყოფის პროცედურას, სწავლების ეთიკურ პრინციპებს, პლაგიატის გამოვლინებასა და აკადემიური არამართლზომიერი ქმედების შემთხვევათა მართვის პროცედურას, სასწავლო პროცესის ორგანიზების პროცედურას, სასწავლო პროცესის ხარისხის შეფასების პროცედურას, ხარისხის სისტემის შიდა აუდიტის პროცედურას და სხვა. უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის მთავარი პრინციპებია: განგრძობითი შეფასება, თვითშეფასება, გუნდურობა, ინფორმაციის გაზიარება, ინიციატივების წახალისება, ანგარიშვალდებულება და მისი წარდგენა ან დისემინაცია, ცოდნის ტრანსფერი და ინტერნაციონალიზაცია. აღნიშნული დოკუმენტი მოიცავს კრიტერიუმებს და ინდიკატორებს, რაც კიდევ უფრო სრულყოფს პროგრამის განხორციელების მონიტორინგის პროცესს.

შიდა ექსპერტის რეკომენდაციების საფუძველზე, იმსჯელა თვითშეფასების ჯგუფმა შენიშვნებზე და სამაგისტრო პროგრამაში შეიტანა რამდენიმე ცვლილება, რომელთაგან აღსანიშნავია ფუნდამენტურ ფარმაცევტულ დისციპლინებში საკონტაქტო საათების რაოდენობის გაზრდა, სასწავლო კურსმა „სამეცნიერო წერის საფუძვლები“ სავალდებულო საგნის სტატუსი შეიძინა, ხოლო საგანმა „გადაუდებელი სამედიცინო დახმარება“ - არჩევითი საგნის სტატუსი, ასევე, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები დაზუსტდა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ფარმაციის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- „საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“ (დამტკიცებული უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ დადგენილებით N05/01-20, 20.04.2012);
- სსიპ „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის“ ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია;
- განხორციელებული შეფასების შედეგები;
- საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა;
- პროგრამის ბუჯეტი;
- შიდა ექსპერტის შეფასება;
- ხარისხის სამსახურის ხელმძღვანელთან ინტერვიუ;
- თვითშეფასების ანგარიშზე მუშაობის შედეგად გამოვლენილი სუსტი მხარეების აღმოსაფხვრელად განხორციელებული აქტივობები და ცვლილებები;
- გამოკითხვის შედეგები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

✓ კარგი იქნება პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის კმაყოფილების ინდექსის კვლევა, ასევე, მათი გამოკითხვების ინტენსივობის გაზრდა.

<p>✓ კვლევის ჩატარება ჩარიცხული სტუდენტების კვების მიზეზების დასადგენად და მათი აღმოფხვრის გზების მოძიება.</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
<p>შეფასება</p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <ul style="list-style-type: none"> <input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

<p>5.2 გარე ხარისხის შეფასება</p>
<p>პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>საგანმანათლებლო პროგრამის სააკრედიტაციო პაკეტზე თანდართული თვითშეფასების ანგარიში, სხვა დართული დოკუმენტაცია, ასევე დათვალიერებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და ინტერვიუების ანალიზი საშუალებას იძლევა სრულყოფილად გაეცნო ყველა იმ პროცესებსა და აქტივობებს, რომლის საფუძველზეც მომზადდა სააკრედიტაციო განაცხადი. გამოიკვეთა, რომ პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს. აწესი ეყრდნობა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2020 წლის სექტემბრის აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებაში დაფიქსირებული ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რეკომენდაციებს, ასევე დარგის სპეციალისტების მიერ გაცემულ გარე ექსპერტის შეფასებებს.</p> <p>უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აანალიზებს აღნიშნულ რეკომენდაციებს/რჩევებს, იხილავს უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ მმართველ რგოლთან და შეიმუშავებს დროში გაწერილ გეგმა-გრაფიკებს საგანმანათლებლო</p>

პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოსაყვანად. იძიებს ფინანსურ რესურსებს პროგრამის საგანმანათლებლო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანისათვის.

გარე შეფასების რეკომენდაციების საფუძველზე, პროგრამაში შევიდა ცვლილებები: დაიხვეწა სილაბუსები, გაძლიერდა დარგობრივი უცხო ენის შესწავლა, კურიკულუმში გათვალისწინებული იქნა დამატებითი სასწავლო პრაქტიკები, გაფორმდა ახალი ხელშეკრულებები და მემორანდუმები პრაქტიკის განმახორციელებელ ობიექტებთან, პროგრამას დაემატა არჩევითი საგნები, შემუშავდა იმ ღონისძიებათა პაკეტი, რომლებიც ხელს შეუწყობს აკადემიური პერსონალისა და პროგრამის სტუდენტთა სამეცნიერო აქტივობის მაჩვენებლის გაზრდას. უფრო რეგულარული გახდა აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა ჩართვა ადგილობრივ და საერთაშორისო ვებინარებსა და კონფერენციებში. გაიზარდა უცხოენოვან ტრენინგებსა და დისკუსიებში მონაწილეობის მაჩვენებელი.

გარე ხარისხის შეფასების რეკომენდაციების საფუძველზე გარკვეულწილად განახლდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და ასევე დაისახა გეგმა მისი პერმანენტულ რეჟიმში განახლებისათვის. ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილი იქნა დოკუმენტაცია, რომელიც ადასტურებს უნივერსიტეტის მმართველი რგოლის მზაობას ახალი ტრენინგ-ცენტრის მოწყობისა და განახლებული სასწავლო-სამეცნიერო აპარატურის შექმნის თაობაზე.

უნივერსიტეტმა უფრო გააქტიურა პოტენციურ დამსაქმებლებთან თანამშრომლობა, საგანმანათლებლო პროგრამის კონკურენტუნარიანობის გაზრდისა და პროგრამის სწავლის შედეგების გასაუმჯობესებელი რესურსების მოძიების კუთხით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები;
- აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება (862042, 4.09.2020);
- მემორანდუმები/ხელშეკრულებები;
- ფარმაციის სამაგისტრო პროგრამის გარე ექსპერტიზის დასკვნა ;
- აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალის განვითარების მიზნით განხორციელებული ღონისძიებები (დანართი 12).

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, გაფორმდეს მეტი მემორანდუმი რეგიონის მსგავსი პროფილის უნივერსიტეტებთან, მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზების გამოყენების მიზნით.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

აწსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შემუშავებული აქვს პროგრამის პერიოდული შეფასების კონცეფცია, რომელიც არის ინფორმაციის სისტემური შეგროვებისა და დამუშავების ფართოდ მომცველი დოკუმენტი. ამ კონცეფციის თანახმად ივსება სპეციალური კითხვარები სტუდენტების, აკადემიური/მოწვეული პერსონალის, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და ასევე პრაქტიკის განმახორციელებელი სუბიექტების მიერ. მრავალმხრივი გამოკითხვების შემდეგ მიმდინარეობს ინფორმაციის დამუშავება და ანალიზი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ. აღნიშნული გამოკითხვების ძირითადი კვლევის მომართულებებია: სტუდენტთა აკადემიური მოსწრების, კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლის, პროგრამის ხელმძღვანელისა და აკადემიური/ მოწვეული პერსონალის განვითარების, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების, ურთიერთდასწრების პროცედურის, სასწავლო პროცესის ინტეგრაციის, სამეცნიერო აქტივობების და სხვადასხვა ღონისძიებაში ჩართულობის ანალიზი.

საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება აწსუ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების პროცედურა EP-QA-1.2-ის მიხედვით. უნივერსიტეტის ხარისხის მართვის სამსახურის მიერ ფარმაციის სამაგისტრო პროგრამის განხორციელებაზე მონიტორინგი ხორციელდება უწყვეტ რეჟიმში.

მონიტორინგის მონაცემების გაანალიზებისა და შეფასების შედეგებზე დაყრდნობით

პროგრამის განმახორციელებელი პირები მუდმივად ზრუნავენ საგანმანათლებლო პროგრამის განახლებასა და მოდიფიცირებაზე.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისა და სამაგისტრო პროგრამის განმახორციელებლების მიერ ხდება საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში კონკრეტულ ჯგუფებთან შეხვედრები და ინტერვიუება, ისახება გეგმები, რომლებიც თანხმდება უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ რგოლთან და კომპლექსური მაჩვენებლების გამოყენებით ხორციელდება პროგრამის ეფექტიანობის შეფასება.

გარკვეული პერიოდულობით ხდება პროგრამის დადარება უცხოური უნივერსიტეტების დარგობრივ პროგრამებთან, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის დანერგვისა და პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.

ახალი სასწავლო წლის დაგეგმვისას შეგროვებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე ხდება ცვლილებების შეტანა საგანმანათლებლო პროგრამაში, რაც დადებითად აისახება მის კონკურენტუნარიანობაზე. მაგ: დამსაქმებელთა გამოკითხვის ანალიზის შედეგად პროგრამას დაემატა სასწავლო პრაქტიკები, სტუდენტთა გამოკითხვის ანალიზის შედეგად პროგრამას დაემატა არჩევითი საგნები, ასევე პროგრამის კურსდამთავრებულთა რჩევით გაძლიერდა დარგობრივი უცხო ენის სწავლება, ხოლო აკადემიური პერსონალის ჩართულობით დაიწყო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფა, გაუმჯობესდა საბიბლიოთეკო რესურსი და ელექტრონულ საბიბლიოთეკო ბაზებზე წვდომა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ N49 დადგენილებით დამტკიცებული „აწსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია“ (17/18) 09.02.2018;
- EP-QA 1.2 საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების პროცედურა;
- ინტერვიუს შედეგები;
- სტუდენტების გამოკითხვები;
- კურსდამთავრებულთა დასაქმების ანალიზი;
- აკადემიური პერსონალის კმაყოფილების კვლევა;
- საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია (დანართი N3);
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი (დანართი N4);
- თვითშეფასების ანგარიში.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- ✓ სასურველია შიდა კვლევების ანალიზი, პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის მიერ გრანტების მოძიებისა და საერთაშორისო პროექტებში მათი ჩართულობის გააქტიურების მექანიზმების მოძიება-შემუშავების მიზნით.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
<p>შეფასება</p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური:

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 45

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	X			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა		X		
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

ია ფანცულაია *ი. ფანცულაია*

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

ნინო ბარათაშვილი *ნ. ბარათაშვილი*

მიხეილ ბიჭია *მ. ბიჭია*

გიორგი აბულაძე *გ. აბულაძე*